პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 17 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

(934) 236 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ


## ახალი შეკრება და ა. ლ. კ. კავშირის მუშაობა წითელ არმიაში.

რამოდენიმე დღის შემდეგ 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა შეკრება უკვე დამთავრდება, რის შემდეგ ვარგისად ცნობილი ახალგაზრდები—ახალწვეულები მოვლენ წითელი არმიის ყაზარმებში.

ამ გამოწვევის დროს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა შეგნებულად და პირნათლად იხდის თავის მოვალეობას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და უკლებლივ ცხადდება მისაღებ პუნქტებში. აქ აღსანიშნავია აგრეთვე ქალაქისა და სოფლის პარტიულ-საბჭოთა და სამხედრო ორგანიზაციების და განსაკუთრებით კი ახკომკავშირის ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობის მიღება ამ შეკრების ნაყოფიერად ჩატარების საქმეში. შესაკრებ პუნქტებში პირველ რიგში გამოცხადებით ახკომკავშირის და პარტიის წევრები ნამდვილი მაგალითის მაჩვენებლები არიან უპარტიოთათვის.

ახალწვეულების წითელ არმიაში მოსვლასთან დაკავშირებით, თითეული ნაწილის პარტიისა და ახკომკავშირის ორგანიზაციების წინაშე წამოჭრილია მრავალი კითხვები, რომლებიც მოითხოვენ სათანადო სამზადისს ახალწვეულების მოსვლამდე და თავდადებულ მუშაობას მათი მოსვლის შემდეგ.

უპირველეს ყოვლისა აქ საჭირო იქნება ყოველ ნაწილში ახალწვეულ—კომკავშირის წევრთაგან ჩამოყალიბდეს მათი დამხმარე ჯგუფი, მოეწყოს კომკავშირელთა ბირთვები და აქვე მოხდეს მათი აღნუსხვა პირადი საქმეების მიხედვით.

ამასთანავე ერთად ნაწილის კომკავშირის ორგანიზაციის მთავარი ამოცანა უნდა იქნეს, აღზარდოს კომკავშირელები დან დისციპლინით აღჭურვილები, შეგნებული მეომრები და აქტიური მუშაკები, რომ შემდეგში ამათ მაგალითს გაყვეს უპარტიო წითელ არმიელთა ფართო მასაც.

ნაწილში მოსული ა. კ. კ. ყველა წევრი ჩაბმულ უნდა იქნას პარტ-საგანმანათლებლო და ა. ლ. კ. კავშირის ისტორიის შემსწავლელ წრეებსა და ნაწილის საერთო საქმიანობაში, აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ყოველივე ზემოთქმულს პარტიისა და კომკავშირის ადგ. ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები შესძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისენი გაითვალისწინებენ და მუშაობის მსვლელობაში გამოასწორებენ ყოველივე იმ შეცდომებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულში ახკომკავშირელთა შორის მუშაობის დროს.

## ოქტომბრის დღესასწაულისთვის.

ამხ. კრუპსკაიას წინადადება ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებისთვის.

მომავალ ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებასთან დაკავშირებით ამხ. კრუპსკაიას შემოაქვს შემდეგი წინადადება:

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულმა უნდა დაისახოს მიზნად ოქტომბრის ამბების გაცხოველება მასების მეხსიერებაში, და არა მარტო ამბების მოგონება, არამედ სათანადო განწყობილების შექმნაც.

რათა შეიქმნას მასებში სათანადო განწყობილება, ჩემის აზრით, მოწყობილ უნდა იქნას ინსცენიროვკა (წარმოდგენა), რომლებშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ასობით და ათასობით. წარმოდგენილ უნდა იქნას შეიარაღებული ხალხი, ჯარების დაძმობილება ხალხთან, წარმოდგენილ უნდა იქნას მზადება აჯანყებისთვის. ეს მეტად ძნელია, მაგრამ ეს მოწყობილ უნდა იქნას ისე, რომ რეჟისორებად (ხელმძღვანელებად) უნდა იყონ რევოლიუციის მონაწილენი. სახალხო აჯანყების განსახიერება მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე ავტომობილებში ბავშვებით. პირველ დღეს განსახიერებულ უნდა იქნას ოქტომბრის რევოლიუციის წინა პერიოდი, მეორე დღეს—ოქტომბრის რევოლიუცია, მესამე დღეს—ოქტომბრის მონაპოვარი. აქ ბავშვებიც იპოვიან თავიანთ ადგილს.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიამ ხელი მოაწერა საგარანტიო ხელშეკრულებაზე.

### რწმუნებულება საგარანტიო (საუზრუნველყოფო) ხელშეკრულების დადებაში.

ლოკარნოში (ქალაქი შვეიცარიაში, სადაც ამ ჟამად მიდის საგარანტიო (საუზრუნველყოფო) კონფერენცია) მყოფ გერმანიის დელეგაციამ მიიღო თავის მთავრობისაგან რწმუნებულება დასდოს საგარანტიო ხელშეკრულება.

### გერმანიამ მიიღო საგარანტიო ხელშეკრულება.

გერმანიამ მიიღო საგარანტიო ხელშეკრულება დასავლეთი საზღვრების შესახებ და საარბიტრაჟო (არბიტრაჟი-საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო) ხელშეკრულება საფრანგეთსა და ბელგიასთან.

საგარანტიო (საუზრუნველყოფო) ხელშეკრულების გეგმის მიღების შემდეგ კონფერენციის სხდომაზე მიწვეულ იქნენ პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლები, რათა მოესმინათ მოხსენებები საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადების შესახებ გერმანიასა და საფრანგეთს, და აგრეთვე გერმანიასა და ბელგიას შორის.

დადგენილ იქნა საბოლოოდ მიიღონ სხვა და სხვა ხელშეკრულებანი და გაარჩიონ საკითხი მათი გამოქვეყნების ვადის შესახებ უახლოეს სხდომაზე.

### აღმოსავლეთის ხელშეკრულება

ვოლფის სააგენტოს ცნობით, აღმოსავლეთის საარბიტრაჟო (არბიტრაჟი—საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო) ხელშეკრულება გრძელდება დაინტერესებულ სახელმწიფოების დელეგატთა შორის კერძო მოლაპარაკების გზით.

## გამომახილი გერმანია—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებაზე.

ლიბერალები გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

ინგლისის დამოუკიდებელ ლიბერალების გაზეთი „დეილი ნიუზი“ განმარტავს გერმანია—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცებას და სწერს:

„გერმანიამ მოუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა, როცა მან უარი განაცხადა იმ გარანტიებზე (უზრუნველყოფის პირობები) რომლებსაც მოითხოვდა ინგლისის საქმიანი წრეები საბჭოთა კავშირისაგან, მაგრამ ეს ხელშეკრულება ჭეშმარიტი გაკვეთილია ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ინგლისის გულჩვილ ჯგუფებისათვის, რომლებიც განუწყვეტლივ ამტკიცებენ, რომ ინგლის—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება ეს იქნებოდა საბჭოთა მთავრობაზე დახმარება.

ასეთი მსჯელობიდან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვერც ერთი მხარე ვერ გააბამს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობას, თუ რომ ამას არ იზამს ინგლისი.

ეს შეცდომაა, ვინაიდან გერმანია, შვეცია, საფრანგეთი და ამერიკა მზად არიან გააბან სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამ რიგად ასეთი შეხედულება სასტიკი შეცდომაა კომერციული (ვაჭრობის) და ბრიტანეთის მომავლის თვალსაზრისით.“

## ანგარიში საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის მონაწილეობის შესახებ ტრედ-იუნიონების კონგრესზე.

ამხ. ტომსკის მოხსენება.

მოსკოვის ფაბქარხკომების, პროფ-ორგანიზაციების და მოსკოვის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ამხ. ტომსკი გამოვიდა მოხსენებით სკარბოროში მომხდარ ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესის შესახებ.

—„ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესისაკენ მიპყრობილი იყო არა ერთი მილიონი მუშის თვალი. პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრეთათვის ამ კონგრესს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.



ამხ. ტომსკი.

ინგლისის ტრედ-იუნიონებს 50 წელზე მეტი ისტორია და მდიდარი ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციებში აღსანიშნავია ძმური დელეგაციების მიწვევა. სრ. რ. პროფკავშირთა საბჭომ მიიღო მიწვევა კონგრესზე ძმური დელეგაციის გაგზავნის შესახებ.

ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ დიდი ყოყმანის შემდეგ ძლივს დაგვრთო ნება 7 დღით ინგლისის ტერიტორიაზე ყოფნის. პირველი ორი დღის განმავლობაში ბრძოლას კონგრესზე ჰქონდა შესავალის ხასიათი. ეტყობოდა მემარჯვენეები თანდათანობით ილაშქრებდენ, ჩვენი მეგობრების—მემარცხენეების წინაშე.

მესამე დღეს დაიწყო ძმურ—დელეგაციების მისალმებანი. თანახმად ძველი ჩვეულებისა ძმურ დელეგაციებს კამათს არ უმართავენ და მისალმებებს ისმენენ სიჩუმით.

მისალმებებით გამოვიდნენ ამერიკელი პროფკავშირების წარმომადგენლები, ამსტერდამის პროფ-ინტერნაციონალის წარმომადგენელი ბრაუნი და ჩვენ.

გენერალურ საბჭოს ანგარიშზე მოხსენება გააკეთა ფრედ ბრალიმ, რომელმაც ილაპარაკა მხოლოდ 10 წუთ. ეს მოკლე მოხსენება იმით აიხსნება, რომ მოხსენების შესახებ ყოველ გვარი მასალები ქვეყნდება 6 თვით ადრე კონგრესის დაწყებამდე.

მოხსენების შემდეგ კამათი არ ყოფილა“.

დასასრულ ამხ. ტომსკი შეჩერდა კონგრესის შედეგებზე და ინგლის-საბჭოთა კომიტეტის სხდომაზე.

ტომსკის მოხსენებას დასასრულ ფარავს მქუხარე ტაში.

## ინგლისის პოლიცია აძლიერებს დევნას კომუნისტების წინააღმდეგ

ჩხრეკა და დაპატიმრება

13 ოქტომბერს ინგლისის პოლიცია თავს დაესხა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უმცირესობის მოძრაობის აღმასკომს, კომკავშირის აღმასკომს და კომპარტიის ლონდონის კომიტეტს. აღნიშნული ორგანიზაციებს ჩამოართვეს მთელი წიგნები. ჩხრეკა გრძელდება.

დაპატიმრებულია კომპარტიისა და კომკავშირის რამოდენიმე მოღვაწე.

დაპატიმრებისა და ჩხრეკის მიზეზები გაურკვეველია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს ზომები გამოწვეულია კონსერვატორების გამოსვლით ყრილობაზე, რომლებმაც უსაყვედურეს ბრიტანეთის მთავრობას უმოქმედობა.

ორშაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1. კომუნალური . . . . . (წითელი თეატრი)

დღის წესრიგი

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) მოხსენება ცეცხლის მქრობელი რაზმის შესახებ;
გ) მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო . . . (ალმასკომის ოთახი № 17)

დღის წესრიგი

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) მიმდინარე საკითხები.

3. სახალხო განათლების . . (აღმ. ოთახი № 32)

დღის წესრიგი

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) ბავშთა მიღება 1925—26 წელს და ახალი დამალებითი ჯგუფების გახსნა;
გ) ბიუროს მოხსენება თავის მიმდინარე მუშაობაზე;
დ) მიმდინარე საკითხები.

4. ჯანმრთელობის . . . . (აღ. ოთახი № 57)

დღის წესრიგი

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) მოხსენება პურის გამოცხობის საქმისა და ქ. ტფილისის ფურნეების გამოკვლევის შედეგების შესახებ;
გ) მოხსენება სან.-განათლების მუშაობის შესახებ;
დ) მიმდინარე საკითხები.

5. სოფ. მუშ. და საბჭ. აღმშენ. (აღ. ოთახი № 28)

დღის წესრიგი

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) საბჭოთა აღმშენებლობა სოფლად;
გ) მიმდინარე საკითხები.

6. სამხედრო . . . . . . . . (აღ. დარბაზი).

დღის წესრიგი

ა) მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ;
ბ) სექციის მუშაობის გეგმის დამტკიცება;
გ) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

# ტყეების გადაცემა გლეხებზე უკრაინაში.

უკრაინის მიწად მოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. დუდკინმა, უკრაინის ცაკის წინაშე გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა, რომ უკრაინის გლეხებისადმი ტყეების გადაცემა ნორმალურად მიმდინარეობს და დამთავრდება იანვრისათვისო. სულ გლეხებს გადაეცემათ 1.420.000 დესეტინა ტყე.

ამის შემდეგ უკრაინის გლეხობის ხელში იქნება, უკრაინის ტყეების მთელი სივრცის 41 პროცენტი, იმ 8 პროცენტის მაგივრად, რომელიც ჰქონდა გლეხობას რევოლიუციამდე.

# სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

## საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობა საქართველოში.

საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. თვითეული საცდელი დაწესებულება მუშაობას აწარმოებს სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, მაგალითად, მებაღეობა, მევენახეობა მესაქონლეობა, და სხვა. დაწესებულებებს მიზნათ აქვთ გაამუქონ ამა თუ იმ დარგის მეცნიერული მუშაობის საშუალებით ამ დარგების შესახებ ყოველგვარი საკითხები.

საცდელ სამეცნიერო დაწესებულებებს ხელმძღვანელობს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

ჩვენ მოგვყავს, აქ საერთო ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო ამ დარგში 1924 წლამდე და რა გაკეთდა 1924—25 წლის განმავლობაში.

### 1924 წლამდე.

გასულ ომიანობისა და რევოლიუციის გამო საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებები დაიყო ორ ჯგუფათ.

სასოფლო სამეურნეო განყოფილების გამგებლობაში დარჩა სამი დაწესებულება: ბოტანიკური ბაღი, ლაბორატორია და მუზეუმი—ბიბლიოთეკა. დანარჩენი ათი დაწესებულება ირიცხებოდა სახალხო მამულების ტრესტის სამეურნეო ხარჯზე.

საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელში არ იყო მოქცეული ფრიად მნიშვნელოვანი დარგები — მესაქონლეობა, მეხილეობა, და სხვა. საერთოდ საცდელ-სამეცნიერო საქმე 1924 წლამდე ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. 1925 წლის ოქტომბრისთვის საცდელი დაწესებულებები ნელ-ნელა უბრუნდებიან თავიანთ საცდელ—სამეცნიერო მუშაობას და კარგავენ სამეურნეო დანიშნულების სახეს.

ამ ხნისთვის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგებლობაში გადმოვიდნენ საქარის და კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურები, ქუთაისის და ტფილისის საბრეშუმო სადგურები, აჯამეთის და ოზურგეთის საცდელი სადგურები, და ციხის ჯვრის ფერმა.

### ახალი საცდელი სამეცნიერო დაწესებულებანი.

წელს დაარსდა შემდეგი ახალი საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებანი: ზოოტეხნიკური სადგური, რომელიც აწარმოებს ცდებს მესაქონლეობის დარგში, რისთვისაც წინასწარ მიმდინარეობს საქართველოს მესაქონლეობის გამოკვლევა (რა ჯიშის საქონელი ხეირობს ჩვენში და სხვა ცნობების შეგროვებას), მანქანა-იარაღების გამომცდელი სადგური, (რომელიც მოახდენს საზღვარ გარეთიდან და ადგილობრივ დამზადებულ მანქანების გამოცდას) და საძ რკველი ჩაეყარა საქართველოს საცდელ აგრონომიულ ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტს დაევალება გაავრცელოს ხალხში სასოფლო მეურნეობაზე არსებული სამეცნიერო ცოდნა.

გასული წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგებლობაში მყოფმა საცდელმა დაწესებულებებმა შეასრულეს ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა—სამუშაოები: გამოკვლეულ იქნა მიწის ნიადაგი (საჭირო იყო გაგება, თუ რა მცენარე სად, რანაირ ნიადაგზე, როგორ გაიხარებს და სხვა) 37.500 დესეტინის არეზე; შედგენილია აგრონომიული რუქა 49.800 დესეტინის სივრცეზე და სხვ.

განახლდა საცდელ დაწესებულებათა ნაშრომების გამოცემა, რომელიც 10 წელია, რაც შეწყვეტილი იყო.

ეჭვი არ არის, რომ მიმდინარე 1925—26 სამეურნეო წელში საცდელ-სამეურნეო დაწესებულებების მუშაობა წავა გეგმიანი გზით და ნაყოფიერათ იმუშავებს ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინებლათ.

დ. მ.

# სამხედრო საქმე

## ძიება არმიის „თვალი და ყურია“.

### ძიების ორგანიზაცია (მოწყობა).

რომ ძიება წარმატებითი იყოს, მისი მოწყობის დროს საჭიროა: 1) გამოყოფილ იქნას საყოფი ძალები და საშუალებანი მძიებლებზე დაკისრებულ ამოცანების ასასრულებლად; 2) მომარაგებულ იქნას მძიებლები საჭირო მასალებით, რაც კი შეუმსუბუქებს მათ დაკისრებულ ამოცანების ასრულებას, ე. ი. უნდა მიეცეთ დურბინდები, კიბლანები, რუქა, დამცველი ფერის ხალათები, ხოლო ზამთარში, გარდა ამისა, თხილამურები.

თავის ნაწილის სამყოფი ადგილიდან გასვლის წინ ძიებაში დანიშნულ პირებმა უნდა გაინაწილონ მოვალეობანი ერთმანეთს შორის, ე. ი. უნდა დანაწილდენ მზვერავ ჯგუფებათ, დანიშნონ მზვერავთა უფროსები და მორბედები; სხვაფერ მძიებლები მრავალ დავალებათა და მცირე დროის გამო ვერ მოასწრებენ ყველაფერს და ვერ აასრულებენ ბოლომდის თავიანთ ამოცანებს. ეს ხომ შეუძლებელია, მაგალითად, დააკისრო ეს მძიებელ მზვერავთა ჯგუფს—გამოიკვლიოს გზა, გააბას კავშირი სხვა ნაწილებთან და შეჰკრიბოს ცნობა მტრის შესახებ. ეს ამოცანები სხვა და სხვა გვარი და მოპირდაპირენია.

თუ რომ გზების გამოკვლევა იწვევს აუცილებლობას მხოლოდ გზებზე იარო, სამაგიეროდ მტრის შესახებ ცნობების შეკრება უმეტეს შემთხვევაში მოითხოვს იარო გზებზე მოშორებით.

ამრიგად მძიებელ მზვერავთა ჯგუფის გაგზავნის დროს მას უნდა მიეცეს გარკვეული ამოცანა, რომელშიაც ის პასუხისმგებელი იქნება. ყველა დანარჩენ ცნობებს მზვერავი ჯგუფი ჰკრებს გზადაგზა, ყოველ შემთხვევაში ისე, რომ არ შეაფერხოს თავისი მთავარი მიზანი.

რომ მძიებელ ჯგუფის მუშაობა ჩქარა და კარგად სწარმოებდეს. ძიებაზე გასვლის წინ მზვერავთა მთელი შემადგენლობა უნდა გაცნობილ იქნას მტრისა და თავის ნაწილების შესახებ დაგროვილ ყველა ცნობებს, ცნობები თავის ნაწილების შესახებ აუცილებელია მძიებლისთვის იმიტომ, რომ ხშირად მოხდება, რომ მძიებელი მიიღებს ცნობებს მტრის განზრახვის შესახებ მეზობლად მოთავსებულ ჩვენი ჯარის ნაწილების მიმართ. ასეთ შემთხვევებში მძიებლის მოვალეობაა თავის დროზე შეატყობინოს მეზობელ ნაწილს მის წინააღმდეგ მიმართულ მტრის განზრახვის შესახებ. ხოლო იმისთვის, რომ მეზობელი დიდხანს არ ეძებო და დრო უბრალოდ არ დაჰკარგო, ძიებაზე გასვლისას უნდა იცოდე, თუ სად იმყოფება მეზობელი ნაწილები და საით ჰყავს გაგზავნილი მათ მძიებლები.

ძიების უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მის მიერ შეკრებილი ცნობები უნდა იყოს სწორი, მართალი და თავის დროზე უნდა გადაეცეს უფროსს, სხვაფერ დასმენა არაფრად არ ეღირება.

ი. ბარ.

# რა არის გლეხკომი, რა წესით ეწყობა, რას აკეთებს და ვის ეხმარება.

(საუბარი წითელ-არმიელთან)

(გაგრძელება).

**4. როგორ უნდა შესდგეს გლეხკომის ფონდი.**

ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებას (გლეხკომს) უნდა ქონდეს საკუთარი ფონდი. რა გზით უნდა შესდგეს ეს ფონდი. უმთავრესად გლეხების საწევრო გადასახადიდან. სოფლის მოსახლეობა უნდა დაიყოს კატეგორიებათ შეძლების და ქონების მიხედვით. შეიძლება შემოღებული იქნეს საწევრო გადასახადი თვიური, ექვსი თვიური, წლიური. საწევრო გადასახადის გაღება შეიძლება როგორც ფულით ისე ჰირნახულით. თვითეულ წევრს აუცილებლათ უნდა მიეცეს საწევრო წიგნაკი, რომელშიაც აღინიშნება რა შემოიტანა წევრმა, რამდენი და როდის. ასეთი წიგნაკები ჩვენ უკვე დავბეჭდეთ (ღირს 7.8 კაპიკი) და პირველ მოთხოვნილებისთანავე შეგვიძლია მათი გამოგზავნა. გარდა საწევრო გასაღებისა გლეხკომის ფონდებში უნდა ჩაირიცხოს შემოწირულებანი და ყველა ის უპატრონოთ დარჩენილი ქონებები, რომელთაც სასამართლოს და ადმინისტრაციის მიერ კონფისკაცია აქვთ გაკეთებული. დამატებით გლეხკომების გამგეობებს ფონდების გასაძლიერებლათ შეუძლიათ სოფლათ მოაწყონ სხვა და სხვა წარმოებანი: სახარაზო, სადურგლო, სამჭედლო, წისქვილი, ბორანი და სხვა ბევრი რამ ასეთები. გლეხკომის წარმოებებში მომჭირნეობა უნდა გამოვიჩინოთ (უნდა მოვერიდოთ და თავი დავაღწიოთ ჩვენებურათ ქარაფშუტულათ დიდი ხარჯების გაწევას), თორემ მოგების მაგიერ ზარალი შეგვრჩება. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საშუალებებში ფონდების გასაძლიერებლათ ყველაზე უფრო საიმედო არის საწევრო გადასახადი. საწევრო გადასახადი არის საძრიკველი და ბურჯი ყოველივე ორგანიზაციის. დააჩქარეთ ურთი-ერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოებების ირგვლივ წევრების შემოკრება. შეიძინეთ საწევრო წიგნაკები და დროზე დაურიგეთ წევრებს. გლეხკომს აუცილებლათ უნდა ქონდეს გაჭირვების შემთხვევაში დახმარების აღმოსაჩენათ მდიდარი და ღონიერი ფონდი. წელს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ძალიან შეღავათიანი არის, ეს გარემოება გლეხებს ძალზე გაუადვილებს ჩაეწერონ წევრებათ გლეხკომში და თავის საკუთარ საძმო საქმისთვის გაიღონ საწევრო გადასახადი.

**5. როგორ უნდა იხარჯებოდეს გლეხკომის ფონდიდან თანხები.**

გლეხკომის ფონდი უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: 40 პროცენტი უნდა იქნეს დახარჯული სოფლის სხვა და სხვა საჭიროებებზე: ქვრივებზე, ობლებზე, ინვალიდებზე, ღარიბ გლეხებზე და სხვა ბევრნაირ ადგილობრივ მიმდინარე საჭიროებებზე.

40 პროც. უნდა გადაირიცხოს სათადარიგო ფონდში, უფრო უბრალო ენით რომ ვთქვათ, „შავი დღის ფონდში“, 10 პროც. უნდა მოიხმაროს გლეხკომმა თავისი ხარჯების დასაფარავად და 10 პროცენტი კი უნდა გადაეცეს სათემო და სამაზრო გლეხკომებს მიმდინარე საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ,

**6. გაჭირვების და უბედურების შემთხვევებში ვინ უნდა აღმოუჩინოს გაჭირვებულთ დახმარება.**

გაჭირვების და უბედურების შემთხვევებში გლეხს დახმარებას უწევს ძირითადი ორგანიზაცია (სოფლის გლეხკომი), როგორც სოფლის მშრომელთან ახლო მდგომი. სათემო და სამაზრო გლეხკომი ეწევა მარტო ორგანიზაციულ მუშაობას. ესენი ქვემდგომ ორგანიზაციებს უწევენ საჭირო ხელმძღვანელობას. დახმარება არის ოთხ სახის: პირველი—დახმარება ერთდროული (დაუბრუნებელი), მეორე—დახმარება ვალით (უპროცენტო), მესამე—დახმარება ვალით (პროცენტიანი) და მეოთხე—მიცემა მუდმივი დახმარების. ყოველგვარი დახმარების გაცემის საკითხი უნდა გაარჩიოს ურთიერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოების გამგეობის (გლეხკომის) პრეზიდიუმმა და არა ერთმა პირმა. ასეთ შემთხვევებში, როცა სამი, ხუთი პირი სწყვეტს რაიმე საკითხს, იქ ყოველთვის ნაკლებათ ექნება ადგილი მიდგომას და ნათლიმამობას. ასეთი წესით საკითხის გადაჭრის დროს საყვედურებსაც ნაკლებათ ექნება ადგილი.

**7. გლეხკომებმა შრომით დახმარება უნდა გაუწიონ თავის წევრს.**

სოფელში გლეხკომი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ეწყობა და შენდება სრული ნებაყოფლობით, ამიტომ ის შრომით დახმარებასაც უნდა ეწეოდეს.

ვის უნდა გაუწიოს გლეხკომმა შრომით დახმარება? წითელ არმიელებს, ობლებს, ქვრივებს, დავრდომილებს, ინვალიდებს, ღარიბთ და საზოგადოთ ისეთ ოჯახებს, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება და ღირსი არიან ასეთის მიღებისა.

როგორ უნდა მოეწყოს შრომით დახმარება? გლეხკომის პრეზიდიუმში უნდა დაისვას საკითხი ამა თუ იმ ოჯახისთვის შრომით დახმარების აღმოჩენის შესახებ. როცა პრეზიდიუმში გადაწყდება ასეთი დახმარების აღმოჩენის საკითხი, მაშინ გლეხკომი ნებაყოფლობით გამოუძახებს 10, 20, 30 გლეხს, რომლებიც შეერთებულის ძალებით სიმღერით და ყიჟინით ამა თუ იმ ოჯახს სასწრაფოდ აღმოუჩენენ შრომით დახმარებას. ასეთ საქმიანობით გლეხკაცობაში მტკიცდება ერთობა, ძმობა, ამხანაგობა. ასეთი საქმიანობით შეიძლება გაჭირვების დროს ერთიმეორეს ფეხზე დაყენება. დღეს ივანეს უჭირს, ხვალ შეიძლება გიორგის ოჯახს გაუჭირდეს. ასეთ შემთხვევებისთვის მარაგათ უნდა ვყოთ და ყველას გაჭირვების დროს ძმური ხელი უნდა გაუწოდოთ.

(დასასრული შემდეგ №-ში).

ქ. ხომერიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ წვეულის მოსვლის წინ.

## დავბრუნდით ჩვენს წერტში.

მე 4 ლეგ. მე-5 ასეული.

მე-4 ლეგიონმა მე-2 და მე-3 ათასეულები ერთად გაიცილა წერტებისაკენ სადგურამდე. ქალ. ხაშურში ათასეულები დაემშვიდობენ ერთმანეთს და გაემართენ თავთავიანთ ადგილებისაკენ. ჩვენს წერტზე მივედით საღამოთი. მიუხედავად ამისა მაინც დაგვიხვდენ სადგურზე ადგილობრივი ორგანიზაციები მუსიკით. სადგურზე გაიხსნა მიტინგი და წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები პარტკომის მდივნისა და სხვათა მიერ. ამის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების სახელით მე-5 ასეულს ამხ. გადასცა 300 მანეთი. ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ასეულის მთელ შემადგენლობაზე და ერთხელ კიდევ დასდვეს ფიცი, რომ მთელი თავისი ენერგიით შეუწყობენ ხელს წითელი ჯარის ტერსისტემის განმტკიცების საქმეს.

ტერსამხკორი ნორჩი.

## ახალი ძალები მეორე ლეგიონს.

13 ოქტომბერს ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლაში დამთავრდა კურსანტების გამოცდები. 137 ახალი უმცროსი მეთაური შეემატა ლეგიონს ამ დღიდან. მართალია სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში მრავალ ნაკლულევანებებს ჰქონდა ადგილი სკოლაში, როგორც მაგალითად სამოსწავლო ნივთების უქონლობა და სხვა, მაგრამ ყველა ესენი დაძლეული იქნა და სკოლამ მაინც სახელოვნად შესძლო თავისი მოვალეობის შესრულება.

საგამოცდო კომისიამ 13 ოქტომბერს დაათავა თავისი მუშაობა. გამოცდებისაგან მიღებული შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელია. კურსანტების თითქმის მთელმა შემადგენლობამ ასახელეს თავიანთი უფროსები და მასწავლებლები.

იმედია ამხანაგები სათანადო ერთგულებას გამოიჩენენ ნაწილებში მუშაობის დროს და კიდევ უფრო დაამტკიცებენ თავიანთ მომზადებას.

მეთ. ჰანტურია.

## გაერთიანებული კრება.

სამხედრო მეთაურთა გაერთ. სკოლა.

13 ოქტომბერს სკოლაში შესდგა მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ავიოქიმიის უჯრედის მუშაობის შესახებ მოხსენება და ახალი წევრების ამორჩევა; 2) ბანაკად ყოფნის დროს საკავშირო კომისიის მუშაობა; 3) სარედაქციო კოლეგიების საქმიანობა; 4) საჰაერო ფლოტის საზოგადოების მუშაობა და 5) საკლუბო გამგეობის ამორჩევა.

ავიოქიმის საზოგადოების მუშაობის გაცნობიდან გამოირკვა, რომ მას ვერ მოუხერხებია კურსანტების მასიურად მიზიდვა წევრებად. ამასთანავე მას ვერ შეუმუშავებია სათანადო გეგმა სოფლად მიმავალ კურსანტებისათვის იქ მუშაობის ჩასატარებლად. ამის შემდეგ არჩეული იქნა ახალი გამგეობა.

ასეთივე დამაბრკოლებელი მიზეზები შეხვედრია თავის მუშაობაში საკავშირო კომისიასაც, რის გამო მას ბევრი რამის გაკეთება ვერ მოუხერხებია.

სარედაქციო კოლეგიის მუშაობაც საგრძნობლად მოიკოჭლებდა, რის მიზეზადაც დასახელებული იქნა კურსანტების გაშვება სკოლიდან მოკლევადიან შვებულებაში.

ბოლოს კრებამ აირჩია სკოლის საკლუბო გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შევიდენ როგორც მეთაურები, ისე კურსანტები.

კრებამ იმედი გამოსთქვა, რომ ახლად არჩეული ამხანაგები შესაფერი ენერგიითა და მონდომებით მოეკიდებიან დავალებული საქმის შესრულებას.

სამხკორი რ. ქორი.

## მეტი ყურადღება პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას.

1902 წ. დაბადებულ წ.-არმიელთა შორის ჩვენმა მეცადინეობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ შესაძლებელი იყო უფრო მეტი შედეგების მიღება, რომ უზრუნველყოფილი ვყოფილიყავით შესაფერი ტეხნიკური საშვალებებით. მეცადინეობა სწარმოებდა კომპლექსიური მეთოდით, რომლის დროს თუ არ არის საჭირო სამოსწავლო ნივთები, შესაფერ შედეგების მიღება სჭირს.

ეხლა როდესაც ხელ ახლად მოგვიხდება წითელ-არმიელთა ახალი კადრის მომზადება, ამ გარემოებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს დივიზიის პოლიტ-განყოფილების სასკოლო დარგის მიერ და ყველა ჯგუფები უზრუნველყოს სათანადო მასალებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მეცადინეობის ნაყოფიერად წარმოება.

სა—ცო.

## ჩვენი საქმიანობიდან.

2-ე ლეგ. 8-ე ასეული.

ამ წლის ივლისიდან ასეული მრავალ სადარაჯოებზე იყო გასული. მთელი ამ ხნის განმავლობაში ასეული მჭიდრო კავშირს იჭერდა მახლობელ სოფლებთან. გვქონდა საკუთარი ბიბლიოთეკა და სწარმოებდა სხვა და სხვა საჭირო წიგნების ჯგუფურად კითხვა. ზესტაფონის ახლოს დგომის დროს კავშირი გვქონდა, ზესტაფონის სამკითხველოსთან, საიდანაც გამოგვქონდა პოპულიარული წიგნები. უკანასკნელ ხანებში გაზეთები აღარ მოგვდიოდა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა გამოიწვია ლეგიონის გასვლამ მანევრებზე. ყველგან კარგ განწყობილებაში ვიყავით გლეხებთან. ხშირად ვეწვეოდით სოფლებს და ვმართავდით გლეხებთან საუბრებს. ამასთანავე ხშირად ვმართავდით კრებებს რკინის გზის მუშებთან ერთად.

ხშირად გვიხდებოდა ისეთ ღვინით მდიდარ ადგილებში დარაჯობა, როგორიც არის სვირი, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა ასეულის შემადგენლობიდან ვინმე დამთვრალიყოს და დაერღვიოს დისციპლინა. ამ მხრივ ასეული თავის სიმაღლეზე იდგა ყოველთვის.

პირველი ოქტომბრიდან ასეული მოიხსნა სადარაჯოებიდან და თავის ლეგიონთან ერთად შეუდგა ჩვეულებრივ მუშაობას.

ასეულ. არმ. დ. კობახიძე.

## მეორე ლეგიონის თეატრის საზეიმო გახსნა.

მეორე ლეგიონში არსებული თეატრი ლეგიონს ვერ აკმაყოფილებდა. ამისათვის ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ შეუდექით თეატრის გაფართოვებას და სხვა და სხვა სათეატრო ინვენტარის შეძენა-შეკეთებას.

11 ოქტომბერს დამთავრდა თეატრის უმთავრესი მუშაობა. ამავე საღამოს გაიმართა მისი გახსნის საზეიმო სხდომა და შემდეგ წავიდა სხვა და სხვა პიესები უფასოთ.

ლეგიონის თეატრის გახსნის შესახებ აფიშები იყო გამოფენილი მთელ ბათუმის ყველა უბნებში.

თეატრის გახსნაზედ დაგვესწრენ მრავალი მოქალაქენი და აგრეთვე აჭარისტანის აკადემიურ თეატრის მსახიობნი.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ლეგიონის ბ. კ. მდივანი, რომელმაც აღნიშნა ლეგ. სამხკომის ამხ. ელიაშვილის ენერგიული მუშაობა და ხელმძღვანელობა თეატრის აგების საქმეში, რისთვისაც შემოაქვს წინადადება თეატრს დაერქვას ელიაშვილის სახელობის თეატრი.

წინადადება მხურვალე ტაშისცემით იქნა მიღებული.

ამის შემდეგ ბ. კოლექტივის მდივანმა გახსნა წითელი ლენტით დაბეჭდილი ფარდა. გამოჩნდა ლამაზათ მოწყობილი ცოცხალი სურათი, ლეგიონის დრამატიულ წრის მიერ დადგმული. ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეეგება თეატრის გახსნას.

ამის შემდეგ დაიდგა შემდეგი პიესები: „უბედური დღე“, კომედია „ჩანჩურა“.

შემდეგ აჭარისტანის აკადემიურ თეატრის დახმარებით წავიდა ბალეტი და ბოლოს კი გამოვიდა აკადემიურ თეატრის დამსახურებული მსახიობი ამხ. რომსკი, რომელმაც იმღერა ოპერა „კარმენი“-დან ტორიადორ.

აჭარისტანის აკადემიურ თეატრის მოღვაწეთა სახელით მიესალმა ლეგიონის თეატრის გახსნას განათლების მუშაკთა კავშირის მდივანი, რომელმაც სთქვა: „უსურვებთ ლეგიონის ყველა დრამ წრის მოღვაწეებს, ენერგიულ მუშაობას, ჩვენ გვექნება კავშირი ძლევამოსილ წ. არმიასთან მის კულტურულად ასამაღლებლათ და გაუწევთ ყოველგვარ დახმარებასო“.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ გაიმართა აზიური და ევროპიული ცეკვა, რის შემდეგ ხალხი მხიარულად და კმაყოფილი დაიშალა.

სამხკორი გ. ლ.

## განათლების მუშაკთა კავშირის მუშაობის გეგმა წითელ ჯარში.

როგორც ვიცით საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირი ითვლება ქართულ ჯარის კულტურულ შეფათ. წარსულ წლის განმავლობაში ამ კავშირს სხვა და სხვა მიზეზების გამო (უფრო კი უსალსრობით) არავითარი თვალსაჩინო რამ არ გაუკეთებია ქართული ჯარისთვის. წრეულს მას გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს ჩვენი ჯარის ნაწილებში დიდი კულტურული მუშაობა. წინასწარი გეგმა ამ მუშაობისა უკვე გამომუშავდა და მის განხორციელებას შეუდგება კავშირი მოკლე ხანში. განზრახულია მოეწყოს წითელ-არმიელთათვის მთელი რიგი სამეცნიერო ხასიათის ექსკურსიები თბილისში და მის ახლომახლო მიდამოებში. ხელმძღვანელებათ გამოყოფილ იქნებიან კავშირის მიერ მცოდნე პირები. ექსკურსიები მოეწყობა შემდეგ ადგილებში: რადიო სადგური, ობსერვატორია, რკინის გზების მთავარი სახელოსნო, მიწათ-მოქმ. კომისარიატის ფერმა, ჰაეროდრომი და ყველა მუზეუმებში.

კავშირი გამოჰყოფს ორ მცოდნე პირს, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ნაწილებში ანტირელიგიურ სფეროში პროპაგანდისტების მომზადებას. განზრახულია ამ პროპაგანდისტების მოსამზადებელი კურსები წითელარმიელთათვის მოეწყოს მე-6 და საარტ. ლეგიონებთან.

ჩვენ ცენტრალურ კლუბთან მოეწყობა ლექციების კითხვა სხვა და სხვა თემებზე უფპოლიტშემადგენლობისთვის, რომელთაც ექნებათ სისტემატიური ხასიათი. ლექტორებათ მოწვეული იქნებიან მომზადებული პირები.

აგრეთვე მოეწყობა მეცადინეობა ნაწილების პოლიტხელთათვის მეთოდიკის ირგვლივ. წაკითხულ იქნება მთელი რიგი ლექციებისა კომპლექსიურ მეთოდზე, რაც უეჭველია დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს პოლიტმუშაკებს.

ე. ხუციშვილი.

## შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

წითელი არმიისა და ფლოტის ბაღი, მთელი ზაფხულის განმავლობაში, როგორც თეატრში ისე კინოში, წითელ არმიელებს აძლევდა ნამდვილ აღმზრდელობითი მნიშვნელობის დადგმებს.

გარნიზონის სამხედრო მსახურთა მასა, მართლაც გრძნობდა ამ დადგმებში კომუნისტურ ზნეობას, იჟღენთებოდა კომუნისტური მორალით.

პარტ-პოლიტმუშაკის კაბინეტი აწუქებდა სხივის საშუალებით სხვა და სხვა ლექციებს პარტ-საბჭოთა აღმშენებლობის ირგვლივ.

ყველა დაინტერესებული და ენერგიით აღსავსე ეწაფებოდა მუშაობას; საუბედუროდ უკანასკნელმა მუშაობამ, რომელიც დღეს დღეობით სწარმოებს ბაღში, სულ სხვა ხასიათი მიიღო.

თეატრში მიდის დრომოჭმულ შინაარსის პიესები; კინოში—კი მთლად უარესი, მიდის ისეთი სურათები, რომლებიც აღზრდას და ცოდნას კი არ მისცემს წითელ არმიელებს, არამედ წინააღმდეგ. პროგრამაში ყოველდღიურად იწერება განცხადებები შემდეგი შინაარსის: თვე, რიცხვი, წითელი არმიის და ფლოტის ბაღი: კინოში მრავალ სერიანი „ნიუ-იორკის საიდუმლოება“, ან „სადღვთო ვეფხვი“, ან კიდევ „სხვისი სახელს ქვეშ“ და სხვა მრავალი.

რით აიხსნება ეს? მით რომ ბაღს არა აქვს თანხა. მაგრამ ვერც ეს აბათილებს ამ მოვლენას.

არმიის ცენტრალური სკოლის გარეშე ორგანიზაცია გამდიდრების და ექპლოატაციაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ სამხედრო მსახურთა ფართო მასის კომუნისტურ აღზრდაზე.

იმედია წითელი არმიის და ფლოტის ბაღის ადმინისტრაცია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ ფრიად დამაფიქრებელ გარემოებას.

დაგო.

## წითელ არმიელების წერილებიდან.

### მოგვეცით განათება.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონის ზარულში არ არის სანათური. დიდი ხანია სიბნელეში გვიხდება იქ სიარული, მაგრამ დღემდე ყურადღებას მაინც არავინ აქცევს. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ წ. არმ. ჩაცვენილან შიგ და დასვრილან. ამას გარდა აღარც სისუფთავის დაცვა ხერხდება. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე? დროა მიაქციონ ყურადღება და გაგვინათონ ზარული.

წ. არმ. ბიკაშვილი.

### ღორებმა აგვიკლეს.

მე-2 არტლეგიონი.

ლეგიონის პირველი საგაუბიცო ბატარეიას და უმწყობრო გუნდს ერთად გვაქვს სასადილო. ყოველი სადილის ჭამის დროს წ. არმიელებს სიცოცხლე გვაქვს გამწარებული. შეუდგებით თუ არა სადილობას ან ვახშმობას, წამსვე გაჩნდებიან ღორები თავის გოჭებით და რომ არ წაგვართვან პური ან ბორში თავისი ჯამით შეუძლებელია. ისე გათამამდენ, რომ მგონი ჩვენც დაგვკბინონ. ღორები კერძო ხალხისაა და საკვირველია რად არ აქცევენ ყურადღებას ლეგიონში მათ ასეთ თარეშს. კომენდანტო, დროა ამოქმედდე.

სამხკორი კირილე.

### ღორები ჩვენც არ გვასვენებენ.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის ეზო ყოველ დღე ივსება ვიღაცის ღორებით. სისუფთავის დაცვა ეზოში ამის გამო შეუძლებელია. ეზოს სჩიჩქნიან და ახდენენ. დავწმინდავთ—გავასუფთავებთ ეზოს, მაგრამ მეორე დღეს კიდევ უფრო ისვრება. დროა ყურადღებას მიაქცევდენ ამ გარემოებას და გაგვანთავისუფლებდენ ღორებისაგან.

ქვარნათის პირველი.

# ახკომკავშირელთა შორის.

### მეთაურთა სკოლის უმცროსი და საშუალო გუნდები.

კარგი ხანია, რაც ჩვენს გუნდებში დაარსებული იქნა ახკომკავშირელთა უჯრედი, რომელშიდაც ითვლება სულ 25 კაცამდე. სამწუხაროდ უჯრედის მუშაობა ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. დაარსებიდან მხოლოდ ერთი გაერთიანებული კრება იქნა ჩატარებული. მას შემდეგ უჯრედს ალარაფერი გაუკეთებია, კრების მოწვევაზე სრულიად აღარ ფიქრობს. ამ გარემოებაში ბრალი მიუძღვის თვით სკოლის ახკომკავშირის ბიუროს, რადგან ეს უჯრედიც მისი თაოსნობით იქნა დაარსებული და ყურადღებას კი არ აქცევს. უჯრედში აუარება განცხადებებია შეტანილი კავშირში მიღების შესახებ. უცდით, რომ ბიურო-კოლექტივი გამოგზავნის ვინმეს, რომელსაც შეეძლება გვიჩვენოს გზა, მაგრამ ამაოდ.

გუნდებში არიან 1902 წ. დაბადებული წით. არმიელები, რომელთაც ახლო მომავალში მოუწევთ შვებულებაში წასვლა; თუ აქ არ გაეცვნენ ისინი უჯრედის მუშაობას, რა უნდა გააკეთონ სოფლად? დროა ასეულის პოლიტხელებმაც იზრუნონ ამ საქმეზე. სკოლის ბიურომ უნდა იზრუნოს აგრეთვე, რომ უჯრედს აღმოუჩინოს ერთი ოთახი, თორემ მუშაობა ისე ნაყოფს ვერ მოგვცემს.

წ. არმ. თომაძე.

# სამხედროთა შენიშვნებიდან

### ცუდი სიტყვების ხმარებას ბოლო არ ეღება.

**1-ლი ლეგ. საკავშირო გუნდი.**

ჩვენს გუნდში ძლიერ გავრცელებულია ლანძღვა გინება და ცუდი სიტყვების ხმარება წითელ არმიელთა შორის. ამას გარდა ღამით თითქმის 12 საათამდე ყოველთვის ჰქიდაობენ და ერთი აურ-ზაური აქვთ ყაზარმაში. დღიურს მთელი ღამის ტეხა უხდება და ვერაფერს გადის მაინც. ერთხელ და სამუდამოთ უნდა აეკრძალოს არმიელებს ეს უზნეო საქციელი.

დროა ყურადღება მიაქციონ.

სამხკორი ზიატელი.

### მეტი მონდომებაა საჭირო.

ზოგიერთი ჩვენი ამხ. წ. არმიელები ხშირად ისეთ საკითხებზე სთხოვენ პასუხს რედაქციას, რომლებიც თითქმის ყოველ დღიურად არის განმარტებული გაზეთში. არც ერთი ჩვენთაგანი არ არის ისე დატვირთული საქმეებით, რომ გაზეთის წაკითხვა ვერ მოიცალოს. საჭიროა მხოლოდ მონდომება და გაზეთის მთლიანად გადახედვა, რომ დღეს აღარ დაგვჭირდეს შეკითხვის მიცემა იმაზე, რაც უკვე სათანადოდ განმარტებული იყო გუშინდელ ნომერში.

სამხკორი ფარ—ბელი.

### ხშირად ასეთი დარიგებები.

**1-ლი საარტილერიო ლეგიონი.**

რამოდენიმე დღის წინად ლეგ. მე-3 ბატარეის უფროსმა შეაგროვა ბატარეის მთელი შემადგენლობა და შესაფერი დარიგებებით მიმართა მათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდენ ახალწვეულ ამხანაგებს. ის შეეხო ბატარეის ცხოვრებას, აღნიშნა ყველა დეფექტები და მოუწოდა მათი გამოსწორებისაკენ.

ბატარეის მთელმა შემადგენლობამ ერთხმად მისცეს სიტყვა ამხ. უფროსს, რომ ყველა დავალებებს პირნათლად შეასრულებენ და შეეცდებიან ახალ მოსულებს შეხვდენ ღირსეულად.

სამხკორი მ. ჩხეიძე.

# უცხოეთის არმიებში.

## ინგლისის საზღვაო ფლოტში.

**საზღვაო ბიუჯეტი (ხარჯთაღრიცხვა).**

ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გამოიმუშავა 1925-26 წლებისათვის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 60.500.000 სტერლინგს. ეს ბიუჯეტი 4 მილიონი სტერლინგით აღემატება გასული წლის ხარჯთაღრიცხვას. ამ თანხიდან 1.320 ათასი გირვანქა სტერლინგი (ერთი გირვანქა უდრის დაახლოებით ჩვენს თუმანს) მოხმარდება საზღვაო ავიაციას, ხოლო 50,000 სტერლინგი კი საზღვაო საარტილერიო სკოლის გამოცდებს.

**ფლოტის მოსამსახურეთა გადიდება.**

მიმდინარე წელში განზრახულია ინგლისის საზღვაო ფლოტის მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება 2.175 კაცით. ამ ჟამად მათი რიცხვი ინგლისის ფლოტში უდრის 102,319 კაცს, ე. ი. 13 ათასი კაცით უფრო ნაკლები ვინემ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ფლოტში.

**ახალი გემების აგება.**

მართალია ინგლისის 1925-26 წ. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია მხოლოდ უკვე დაწყებულ გემების აგებისათვის საჭირო თანხები, მაგრამ სადმირალომ (საზღვაო ძალების სამართველო) შესძლო კიდევ გამოეთხოვა დამატებითი სესხი მთელ რიგ შემდეგი გემების ასაგებად: 4 კრეისერის, 3 წყალქვეშა ნავის, 2 მცურავი სახელოსნოსი, 1 სანაღმოსნო გადამღობის და ერთიც სპარსეთის ყურის (ზღვა სპარსეთის ნაპირთან) დასაცავ სპეციალურ გემისთვის.

**საზღვაო ავიაცია.**

1924 წლიდან ინგლისში დაიწყეს ოფიცრების მომზადება მფრინავებად. 10 თვის მეცადინეობის შემდეგ ეს ოფიცრები დაიგზავნებიან საზღვაო საჰაერო ფლოტში.

სადმირალოს განზრახული აქვს გახსნას ასეთი ხასიათის 4 სასწავლებელი.

საზღვაო ფლოტის მფრინავ ოფიცრებსა და საზღვაო ოფიცრებს შორის დიდი განხეთქილება. პირველები ამტკიცებენ, რომ ავიაციას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო საქმეში, ვინემ საზღვაო ფლოტს და რომ მომავალ ომებში ავიაცია უფრო მეტის გაკეთებას შესძლებს ვიდრე საზღვაო ფლოტიო.

# ამბები სოფლებიდან.

წელს ქუთაისის მაზრაში დაარსდა ინვალიდთა 4 ნადი, რომელთა საერთო თვიური ბრუნვა უდრის 11.400 მან.

**რაჭის აღმასკომმა** გადასცა სოფ. ღადიშის გლეხებს ცემენტი ადგილობრივ წყალის გამოსაყვანათ.

**გორის მაზრაში** უკვე დაიწყო გლეხკომების საქმიანობის გამოკვლევა.

**ახალი საავათმყოფო.** ტფ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება სოფ. სართიჭალაში ხსნის ახალ საავათმყოფოს.

**ხონში** ეწყობა აბრეშუმის სახვევ-სართავი ქარხანა, სადაც ყოველწლიურად გადამუშავდება 1500 ფუთი პარკი.

**საქონლის ჭირი.** ხულოში (აჭარა) გაჩნდა საქონლის ჭირი.

**ბამბის მოსავალი.** იმერეთში, წელს ყოველ დესეტინაზე მიიღეს საშუალოთ 30 ფუთ ბამბას.

**ციებ-ცხელება.** გურიიდან მოსული ცნობებით მთელ გურიაში მოდებულია ციებ-ცხელება.

**საჭიროა ფართლეული.** მთელ საქართველოს მაზრებში ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა ფართლეულზე.

**ახალი სკოლა.** ამ დღეებში ახალსოფელში (მარტყოფის რაიონი) დამთავრდება სკოლის ახალი შენობის აგება.

# ახალი ამბები.

—**საცდელი დაწესებულებები.** გასული, 1924—25 საანგარიშო წლის განმავლობაში საცდელ-სამეცნიერო საქმეზე დაიხარჯა 112.280 მანეთი.

—**ქვა-ნახშირის წარმოება.** უმაღლესი სამეურნეო საბჭომ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოების გასაფართოებლათ.

—**ზაჰესიდან** ტფილისამდე ელექტრო ენერგიის გამოსაყვანათ დამთავრებულია ყველა ბოძების აღმართვა.

—**ტფ. აღმასკომის პოლიტ**განათლების განყოფილებას განზრახული აქვს გახსნა 100 სკოლა წ.—კ. მცირე მცოდნეთათვის.

—**საქონლის ჭირის** წინააღმდეგ საბრძოლველათ, მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა პროვინციებში დაგზავნა ასაცრელი წამლეულობა.

—**სოც. უზრ.** კომისარიატის განკარგულებით, ახლო ხანში დაიწყება სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილ პირთა წმენდა.

— **მოჯამაგირეთა** შორის პროფ მუშაობის საწარმოებლათ, მთელ საქართველოში მოწყობილია 400 პროფუჯრედი.

—**მშენებლები.** საქართველოს მშენებელთა კავშირში ამჟამად გაერთიანებულია 11 ათასი მშენებელი.

**საქონელი სოფელს.** გამომუშავებულ გეგმით ცეკავშ. ყოველთვიურათ მიაწვდის დასავლეთ საქართველოს კოოპერატივებს 10 ათას ფ. ფქვილს, 3 ვაგონ ფართლეულობას და 5 ათას ფუთ შაქარს.

# სასოფლო მეურნეობა.

### კარტოფილის შენახვა ორმოებშიც შეიძლება.

ბევრი კარტოფილი უფუჭდება მეურნეს იმის გამო, რომ მას კარგად ვერ ინახავს. კარტოფილი სათუთი რამაა. მასზე ადვილათ მოქმედობს სითბოც და სიცივეც, რის გამოც იგი ავადმყოფდება და ლპება. ამიტომ საჭიროა კარტოფილის შესანახად ისეთი ადგილის შერჩევა, სადაც სითბოს და სიცივის მერყეობა დიდი არ არის ხოლმე.

საუკეთესოა კარტოფილის შესანახად სარდაფი. მაგრამ სარდაფი ყველას არ მოეპოება. მისი მაგიერობა შეუძლია გასწიოს მიწაში ამოთხრილმა ორმოებმა და სწორედ ამას უნდა მიმართოს მეურნემ, როცა სხვა უკეთესი ადგილი არ მოეპოება კარტოფილის შესანახად.

ორმოები კარტოფილის შესანახად ბინის ახლოს უნდა გაკეთდეს, რადგან უფრო ადვილი იქნება ორმოს თვალყურის დევნება.

ორმოს სიღრმე 8—12 ვერშოკს არ უნდა აღემატებოდეს სიფართე კი 12—16 ვერშოკს, სიგრძე უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ რამდენი კარტოფილია შესანახი. მაგრამ არც მეტის მეტად გრძელი ორმოები ვარგა.

ორმოებში შენახვის წინ კარტოფილი გულმოდგინეთ უნდა გადაირჩეს. შესანახ კარტოფილში არ უნდა გაურიოთ დაზიანებული და დაავადმყოფებული გორგალები, რადგან ისინი ადვილად ჩალპებიან მიწაში და სხვასაც გადადებენ სიდამპლეს.

გადარჩეული კარტოფილი ფრთხილად უნდა ჩალაგდეს ორმოებში. ზევიდან უნდა გადაეფაროს ჩალა 4—5 ვერშოკის სისქეზე და მას ზევით კი მიწა. ფხვიერი მიწა უფრო სქლად უნდა დაეფაროს კარტოფილს, ვიდრე მკვრივი—თიხნარი, რადგან ფხვიერი მიწა უფრო ადვილად უშვებს სითბო—სიცივეს, რასაც შეუძლია კარტოფილი გააფუჭოს.

ცივ ადგილებში მიწის ფენა უფრო სქელი უნდა იქნეს, რომ ზამთარში კარტოფილი არ გაიყინოს.

თუ კარტოფილს ჩალა სქელი ფენად აქვს გადაფარებული, მაშინ მიწა ნაკლები შეიძლება მიეყაროს.

თუ ბევრი კარტოფილია ერთად შენახული (400 ფუთი და მეტი), მაშინ უმჯობესია ორმოს სასული დაეტანოს, რომ კარტოფილი არ ჩახურდეს.

ყველა ამასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ორმოსათვის ამაღლებული ადგილი უნდა ამოირჩეს, სადაც წყალი ადვილათ არ ჩაგუბდება და კარტოფილის დალპობას ხელს არ შეუწყობს.

მუხ—ლი.

# უცხო სიტყვათა ახსნა.

1. მორალი—ზნეობა.
2. ექსპლოატაცია—ყვლეფა.
3. შეფი—ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელიც ჯარის ნაწილს ან სოფელს, უწევს კულტურულ ან მატერიალურ დახმარებას.
4. ობსერვატორია — სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ირკვევს ჰაერის და მიწის ცვლილებებს.
5. მუზეუმი — სამეცნიერო დაწესებულება, სადაც ინახება ისტორიული ძვირფასი ნივთები, მუზეუმი სხვა და სხვა სახის შეიძლება იქნეს იმის და მიხედვით, თუ რა ხასიათს ატარებს ის: ისტორიული, გეოგრაფიული, რევოლიუციის და სხვა და სხვა,
6. ჰაეროდრომი—ის ადგილი საიდანაც უნდა აფრინდეს ან ჩამოეშვას ჰაეროპლანი.
7. ფონდი — თავისუფალი რაოდენობა ფულის ან მიწის, რომელიც გარკვეულ საჭიროებისათვისაა გადადებული.

# პასუხად ამხ. „ცეცხლს."

გაზეთ „წითელ არმიელის" № 232-ში მოთავსებული იყო სამხკორ „ცეცხლის" წერილი „ჩვენ რაღა დავაშავეთ"-ის სათაურით, რომელიც ეხება 1-ლი ლეგიონის პოლიტ-მუშაობას და სწერს, რომ ლეგ. ბატარეიაში პოლიტმუშაობა არ სწარმოებსო.

მართალია, მეცადინეობით არავინ არ ამეცადინებს ნაწილს, რადგან საერთოდ ლეგიონში შეწყვეტილია მეცადინეობა. რაც შეეხება მის ცნობას, ვითომ მეცადინეობა ყველა სხვა ასეულში მიდიოდეს—არ არის მართალი. მეცადინეობა ყველგან შეჩერებულია და ელოდებიან ახალწვეულებს, მხოლოდ მათ შესახვედრად სწარმოებს ლეგ. მუშაობა.

ამხანაგმა შეცდომა დაუშვა. ალბად მას ეგონა, რომ ყველა ასეულებში იყო მეცადინეობა. მეცადინეობა საერთოდ განახლდება ამ მოკლე ხანში სრულიად ახალი პროგრამით.

პოლიტ-ხელი სვანიძე.

# განცხადებები


## ს. კ. პ. ტფილ. ორგანიზაციის მე-3 რაიკომი

იტყობინება, რომ კვირას, 18 ოქტომბერს, დილის 10 საათისათვის, მე-3 რაიონის პარტკლუბში (კახ. ქ. № 1.) შესდგება სამხედრო პარტორგანიზაციათა წარმომადგენლების **თათბირი** ს. კ. პ. ტ. ო. მესამე რაიონის პარტკონფერენციაზე.

**დავკარგე** აღრიცხვის წიგნი, მიხეილ ემუხვარის სახელზე გაცემული სუხუმის სამხედრო კომისარიატისაგან. ჩაითვალოს გაუქმებულად.


დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.